პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის შესახვევისთვის რეჟისორის თემურ ჩხეიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის შესახვევს მიენიჭოს რეჟისორის თემურ ჩხეიძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:481964 Y:4617459
თემურ ჩხეიძის ქ.
X:481908 Y:461739

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მთაწმინდის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
MTATSMINDA DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **38-01250281088**
თარიღი: **28/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარეს,

ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან მთაწმინდის რაიონის გამგეობაში გადმოგზავნილ ა(ა)იპ "შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოების" თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორის N10/01243413346-01 განცხადებას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

დავით კირკიტაძე

მთაწმინდის რაიონის გამგეობა-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ნომერი: 10/01243413346-01
თარიღი: 06.12.2024 17:47
ვადა: 06.01.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ა(ა)იპ შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოება საიდენტიფიკაციო კოდი : 203850412
მისამართი: ლეონიძის 11 ა
საკონტაქტო ინფორმაცია: 599508295;
განცხადების N: განცხადების თარიღი: 06.12.2024
ხელმომწერი: თანამდებობა:

მოთხოვნის ტექსტი

თეატრალური საზოგადოება მოგმართავთ თხოვნით, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის და პედაგოგის თემურ ნოდარის - ძე ჩხეიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიეკუთვნოს მისი სახელი.

პატივისცემით,
თეატრალური საზოგადოების თავჯდომარე:
გიორგი გეგეჭკორი

George Gegechkori

Digitally signed by George Gegechkori
Date: 2024.12.06 17:48:24

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ისნის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
ISANI DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **36-01243552361**
თარიღი: **20/12/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ისნის რაიონის გამგეობაში გადმოგზავნილ ა(ა)იპ "შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოების" თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორის N10/01243413346-01 განცხადებას.

პატივისცემით,

გიორგი რჩეულიშვილი

ისნის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საბურთალოს რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
SABURTALO DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **31-01250173424**
თარიღი: **17/01/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან საბურთალოს რაიონის გამგეობაში გადმოგზავნილ ა(ა)იპ " შემოქმედებითი კავშირი საქართველოს თეატრალური საზოგადოების" თავმჯდომარე გიორგი გეგეჭკორის N10/01243413346-01 განცხადებას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

გაიოზ ვასაძე

საბურთალოს რაიონის გამგეობა-პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
დიდუბის რაიონის გამგეობა
TBILISI MUNICIPALITY CITY HALL
DIDUBE DISTRICT GOVERNMENT

წერილის ნომერი: **32-01243443558**
თარიღი: **09/12/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

განვიხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან ჩვენთან გამოგზავნილი, თეატრალური საზოგადოების თავჯდომარის-გიორგი გეგეჭკორის 2024 წლის 06 დეკემბრის 10/01243413346-01 განცხადება თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, თემურ ჩხეიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

გიგზავნით ზემოხსენებულ განცხადებას და გთხოვთ, განიხილოთ თქვენი კომპეტენციის შესაბამისად.

დანართი: განცხადებ ერთ ფაილად.

პატივისცემით,

ვლადიმერ ძნელაძე

დიდუბის რაიონის გამგეობა-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გამგებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032504912**
თარიღი: **18/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთაწმინდის რაიონის გამგებლის დავით კირკიტაძის 2025 წლის 28 იანვრის საქმე #16-032502855-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გიორგი ქუჩიშვილის ქუჩის შესახვევის სიტუაციური ნახაზი (შემდგომში თემურ ჩხეიძის ქუჩის სახელის მინიჭების მიზნით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250503577**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 18.02.2025 წლის #03-032504912 (18.02.2025 წ. #14-01250491406-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თემურ ჩხეიძე

(1943-2022)

ქართველი რეჟისორი. საქართველოს სახალხო არტისტი , თბილისის საპატიო მოქალაქე

1965 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი, დიმიტრი ალექსიძისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნო. 1965-1967 წლებში რეჟისორად მუშაობდა შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატულ თეატრში.

1967-1970 წლებში ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

1970-1980 წლებში იყო რუსთაველის თეატრის რეჟისორი, ხოლო 1980-1990 წლებში კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

1991 წლიდან იყო სანქტ-პეტერბურგის დიდი თეატრის რეჟისორი, 2004 წლიდან – მთავარი რეჟისორი, 2007-2013 წლებში – სამხატვრო ხელმძღვანელი.

თემურ ჩხეიძეს დადგმული აქვს სამოცდაათზე მეტი სპექტაკლი.

მისი დადგმული სპექტაკლებია:

თეატრალური ინსტიტუტი

ლევ ტოლსტოი „წყვდიადის მეუფება“

ალექსანდრე ვამპილოვი „დამშვიდობება ივნისში“

„ჯაზი, სიყვარული და ეშმაკი“

შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის დრამატული თეატრი

ჯემალ მონიავა „კორპუსი M, ოთახი 355“

ვანიონ დარასელი „კიკვიძე“

იან ოტჩენაშეკი „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“

ა. ვოლოდინი „ხუთი საღამო“

ქალაქ თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო დრამატული თეატრი

დავით კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“

ა. ვოლოდინი „უფროსი და“

ფ. დიუმანუა, ა.ფ. დენერი „დონ სეზარ დე ბაზანი“

ვ. დარასელი „მე-16 დივიზია“

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

დავით კლდიაშვილი „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რობერტ სტურუასთან ერთად)

შალვა დადიანი „გუშინდელნი“

ანტონ ჩეხოვი „თოლია“

თამაზ ჭილაძე „მოულოდნელი სტუმარი“

ფედერიკო გარსია ლორკა „ბერნარდა ალბას სახლი“

მიხეილ ჯავახიშვილი „ქალის ტვირთი“

სოფოკლე „ოიდიპოს მეფე“

ილია ჭავჭავაძე „ჩემი კალამი“

ი. დვორეცკი „უცხო კაცი“

ვ. როზოვი „სიტუაცია“

იუჯინ ო’ნილი „სიყვარული თელებ ქვეშ“

ლევ ტოლსტოი „წყვდიადის მეუფება“

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

ჰენრიკ იბსენი „მოჩვენებანი“

ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბა“

ილია ჭავჭავაძე „ასი წლის წინათ“

ინგა გარუჩავა და პეტრე ხოტიანოვსკი „აღსარება“

უილიამ შექსპირი „ოტელო“

დავით კლდიაშვილი „დარისპანის გასაჭირი“, „უბედურება“

მიხეილ ლერმონტოვი „თავადის ასული მერი“

მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნები“

ოტია იოსელიანი „ადამიანი იბადება ერთხელ“

ლ. ბერლანგა, რ. ასკონა, ე. ფლაიანო „გაროტა“

ალექსანდრე გელმანი „პირისპირ“

თამაზ გოდერძიშვილი „ილია ვარ“

ფრიდრიხ შილერი „ვერაგობა და სიყვარული“

მიხეილ ჯავახიშვილი „ბედი მდევარი“

ნილ საიმონი „მგზნებარე შეყვარებული“

დავით გაჩეჩილაძე „ბახტრიონი“

ართურ მილერი „სეილემის პროცესი“

თეოდორ დოსტოევსკი „მარადი ქმარი“

ავგუსტ სტრინდბერგი „მამა“

ა. გარნეი „სასიყვარულო ბარათები“

იასმინა რიზა „არტ ხელოვნება“

ჟან ანუი „ანტიგონე“

მიხეილ ბულგაკოვი „პილატე“

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის დრამატული თეატრი

გურამ ოდიშარია „ზღვა, რომელიც შორია“

გენუის საოპერო თეატრი

ჯუზეპე ვერდი „დონ კარლოსი“

ვენეციის საოპერო თეატრი

ჯაკომო პუჩინი „და ანჟელიკა“

სერგეი რახმანინოვი „ძუნწი რაინდი“

ბორდოს საოპერო თეატრი

ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვი „მეფის საცოლე“

მილანი „ლა სკალა“

სერგეი პროკოფიევი „მოთამაშე“

ნიუ-იორკი „მეტროპოლიტენ ოპერა“

სერგეი პროკოფიევი „მოთამაშე“

მოსკოვის სამხატვრო თეატრი

მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნები“

ჟან ანუი „ანტიგონე“

პეტერბურგის ტოვსტონოგოვის სახელობის დიდი დრამატული თეატრი:

ფრიდრიხ შილერი „ვერაგობა და სიყვარული“

ართურ მილერი „სეილემის პროცესი“

ედუარდო დე ფილიპო „აჩრდილები“

იუჯინ ო' ნილი „სიყვარული თელებქვეშ“

უილიამ შექსპირი „მაკბეტი“

ალექსანდრე პუშკინი „ბორის გოდუნოვი“

მიხეილ ლერმონტოვი „მასკარადი“

მაიკლ ფრეინი „კოპენჰაგენი“

ფრიდრიხ შილერი „მარიამ სტიუარტი“

მ. მაკდონახის „სილამაზის დედოფალი“, 2010

მოსკოვის დიდი თეატრი:

დიმიტრი შოსტაკოვიჩი „ლედი მაკბეტი“

პეტერბურგის მარინის თეატრი

სერგეი პროკოფიევი „მოთამაშე“

რიხარდ ვაგნერი „მფრინავი ჰოლანდიელი“

ჯუზეპე ვერდი „დონ კარლოსი“

ნიკოლოზ რიმსკი-კორსაკოვი „მოცარტი და სალიერი“

სერგეი რახმანინოვი „ძუნწი რაინდი“

სატელევიზიო სპექტაკლები

მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყოს ხიზნები“

ნოდარ დუმბაძე „მარადისობის კანონი“

ნოდარ დუმბაძე „კუკარაჩა“

მიხეილ ჯავახიშვილი „თეთრი კურდღელი“

მიხეილ ბულგაკოვი „მოლიერი“

ინგა გარუჩავა, პეტრე ხოტიანოვსკი „აღსარება“

გადაღებულია კინოფილმში

„ამაღლება“ (ბექა), 1977

„მშობლიურო ჩემო მიწავ“ (გიორგი თორელი), 1980

მინიჭებული აქვს შემდეგი წოდებები და პრემიები:

საქართველოს სახალხო არტისტი

კოტე მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი

შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი

მიხეილ თუმანიშვილის პრემიის ლაურეატი

საქართველოს თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ ორგზის მფლობელი

გოგი გეგეჭკორის სახელობის „ქართული ხელოვნების რაინდი“ ლაურეატი

რუსეთის თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ ლაურეატი

პეტერბურგის თეატრალური პრემიის „ოქროს ნიღაბი“ მფლობელი

„ოქროს გრან-პრის“ მფლობელი

„საპატიო ნიშნის“ ორდენი.